



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 04

2018 წლის 18 იანვარი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს თანხმობა კანონით დადგენილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10 %-ით.
2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე